

### აქრონია

#### რა შედეგები დარჩება ახალ საგანგებო კომისიას?

ყველა ის საგანგებო შედეგით, რომელიც წლების განმავლობაში ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენების საკეთილდღეოდ იქმნებოდა, წლის ბოლომდე გაუქმდება; მეტიც - ახალ საგანგებო კომისიაში წევრების ტიპის შედეგები მინიმუმადე შემცირდება. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კომისიაზე მომუშავე სამთავრობო კომისია არსებული შედეგების უმრავლესობის კატეგორიული წინააღმდეგია.

A4

### უცხოეთი

#### არჩილ მარონის გზავნა - სრული პოლიტიკური ნარკოტიკა ან საბოლოო მარცხი

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ისრაელის მმართველი პარტიის "ლიკუდის" შიდა დაპირისპირებაში გადაიზარდა. იმ დროს, როცა პრემიერ-მინისტრს არჩილ მარონს ყველაზე მეტად სჭირდებოდა თანაპარტიულების მხარდაჭერა, მის გეგმას უხდობლობა გამოუცხადეს.

A5

### საზოგადოება

#### საქართველოს გამარჯვების სიმბოლო

გასული წლის 13 აგვისტოს ჭიათურის სოფელ ცხრუკვეთში ემზარ ბინძვამ კოპიტის ხისგან ექვსმეტრიანი მაცხოვრის ჯვარცმა გამოთალა. მან ორი წელიწადი იესოს ცხოვრების შესწავლასა და მინიშნული ხის ძებნას მოანდომა. იესოს ჯვარცმის ერთი სახეა 24 დღეში შეიქმნა, ხოლო მეორე - ცხრა დღეში. ისინი ქრისტეს ორბუნებიაობის გამოშვასხველია.

A6

### სამართალი

#### მაია ნიკოლეიშვილი საქმარ თავსა და პროფანირებას იძვავს

"ცხოვრება ზღვის ტალღას ჰგავს - მიძვლება ტალღის ზევითაც მოეცე და ქვევითაც, მაგრამ თუ ცურავ იცი, ანუ თუ პროფესიონალი ხარ, აუცილებლად გადაარჩები", - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის სამინისტროს ექსპერტის ბიუროს ყოფილი უფროსმა მაია ნიკოლეიშვილმა, რომელიც დღეს აშკარად "ცურავს" პროცესში იმყოფება და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას სსამართლოს გზით ცდილობს.

A7

### ანიონი

თბილისი	23	☁
ქუთაისი	23	☁
ბათუმი	23	☁
სოხუმი	21	☁
ფოთი	22	☁
თელავი	22	☁
ზუგდიდი	23	☁
გორი	20	☁
ახალციხე	22	☁
ჟიათურა	21	☁
ბაზრა	19	☁
სამტრედიანი	23	☁

უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლართან მიმართებაში  
აშშ დოლარი 1.9500  
ევრო 2.3067  
გირვანქა სტერლ. 3.4642  
რუბლი 0.0674

## ოპოზიცია ხელისუფლებას საპენსიო პოლიტიკას უწუნებს

გიორგი ასანიშვილი

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა დღეს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღება ეჭვს არ იწვევს, მაინც საგანგებო, რომ დებატებს საკმაოდ მწვავე ხასიათი ექნება. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც ირგვლივაც ოპოზიცია მთავრობასთან ოპონირებას აპირებს, საპენსიო დავალიანებების დაფარვას შეეხება.

კრიტიკისთვის შემართულ ოპოზიციას შეიძლება ცეცხლზე ნავთი დაუსხას იმ კანონპროექტმა, რომელიც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტის ბიუროს გაუშინდელ სხდომაზე წარმოადგინა. ამ დოკუმენტით მთავრობა ითხოვს, რომ 2005 წლამდე გადავადდეს ის შედეგები, რომელიც მაღალმთიან რეგიონებში პენსიებზე 50-პროცენტით დაწესების გაცემას გულისხმობს.

პარლამენტის თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ აღნიშნული კანონპროექტი დეპუტატების აღმ-



ბიუჯეტის განხილვაზე ყველაზე მწვავე საკითხი პენსიების დავალიანება იქნება.

ლევან სურგულაძე, ფოტო

## უთანხმოებები უმრავლესობაში

სოფო ბუკია

ბათუმიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა გუშინ საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრა ისურვა და დეპუტატებს კანცელარიაში მოუყარა თავი. ამ თავყრილობის გამო გუშინ მთავრობის სხდომაზე შეწყვეტეს, სადაც ბიუჯე-

ტის საკითხს იხილავდნენ და პრეზიდენტის და უმრავლესობის შეკრებაზე მინისტრებიც დაბაძაფრეს. როგორც დეპუტატები ამბობენ, შეხვედრის მთავარი თემა სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები და ბიუჯეტის პროექტში მოსალოდნელი ცვლილებები იყო.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა შეფასებით,

ბიუჯეტის პროექტი საკმაოდ ამბიციურია, თუმცა ოპოზიციის მიერ პროექტისადმი გამოთქმული კრიტიკა მათ გაუმართლებლად მიაჩნიათ.

შეხვედრის კიდევ ერთი თემა, რომელზეც დეპუტატები გუშინ საუბარს გაუბრუნდნენ, საპარლამენტო უმრავლესობაში მიმდინარე პროცესებია. რამდენიმე დღეა

ვრცელდება ინფორმაცია, რომ კოცინოვანი უმრავლესობის საპარლამენტო ფრაქციის შექმნას გეგმავს, სადაც უმრავლესობის წევრები - ზვიად ძიძიგური, ზინინა გუჯაბიძე და სხვები მოიაზრებიან. ეს დეპუტატები კანცელარიის გუშინდელ სტუმრებს შორის არ იყვნენ.

ბაზრძილა A3 ბავრძილა

## ასლან აბაშიძისაგან პოსტის აღარ დარჩა

პაატა კოლაშვილი

პაატა კოლაშვილი  
პაატა კოლაშვილი  
პაატა კოლაშვილი  
პაატა კოლაშვილი  
პაატა კოლაშვილი

მოვლენები, რომლებიც საქართველოში განვითარდა, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობისაა. ერის გამოღვივება, გამოფხიზლება და გამთლიანება, ისევე, როგორც ადამიანის დაბადება, უმტკივნეუ-

ლოდ არ ხდება. გაგა დრო და შთამომავლობა ისტორიის უტყუარ სასწავლოზე ყველა ცოცხალ-მადლს წარმოაჩენს და განიკითხება ყველა და ყოველი. ღირსეული პატივი მიეგება ერს, რომელიც შეგნებულად სწირავდა თავს მამულის გაერთიანების ბუნებრივ წყურვილს. ყველა სათვის გასაგებია, რომ მხედველობაში აჭარამი მიმდინარე მოვლენებს ვგულისხმობთ.

ხელისუფლებიდან შეგარდნადის განდევნის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ასლან აბაშიძის განუხლებელი დიქტატურის სულ მალე ბოლო მოეღებოდა, მაგრამ აჭარის "ლომი" წასვლას არ ჩქარობდა. მიზეზად იმას ასახელებენ, თითქოსდა აჭარის მოსახლეობას მის ლიდერზე მეტად მთავარ ამოსდიოდა, რომ აბაშიძის გარემოცვა ხელისუფალს ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდა, რომ

ხალხი მადლიერი იყო იმ სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის, რომელიც აჭარაში სუფევდა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი არასოდეს დასახელებულა. ასლან აბაშიძე და აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზა, რუსეთის ძირითადი და უკანასკნელი საყრდენი გახლდათ საქართველოში.

ბაზრძილა A3 ბავრძილა

## ქაბვის ბავშვთა სახლი

ნინო ლინცაძე

მცხეთას რომ გასცდები და ქეგვისკენ წახვალ, ვახტანგ რჩეულიშვილის უფემენტურულ და უდიდეს ვილას მიაღვები. იქ მარცხნივ უნდა გადაუხვიო, ხიდქვეშ გაძვრი და ქეგვის ბავშვთა სახლთან მიხვალ. როდესაც ამ ტერიტორიაზე მოხვდები, ბავშვები არ შემოგხვებიან და ხელეგში ყურებებს არ დაგიწყებენ. იმიტომ არა, რომ ისედაც ყველაფერი აქვთ. უბრალოდ, იციან, რომ ეს ღირსეული საქციელი არ არის. თანაც, პატარებს ჩვენთვის არც ეცალათ, სათამაშოები ჰქონდათ გამოტანილი და მზის გულზე თამაშობდნენ. ეს ისეთი სახლია, სადაც ბავშვებს სათამაშოებს არ უშვებენ. აქ არც აღსაზრდელთა საუკეთესო ნამუშევრებს ინახავენ, შემდეგ ვინმე მაღალჩინოსან სტუმარს თავი რომ მოაწონონ. მეტსაც გეტყვით, ასეთ სტუმრებს არც კონცერტებს უმართავენ ხოლმე. მოკლედ, აქ

ბაზრძილა A8 ბავრძილა



ლევან სურგულაძე, ფოტო

### დღეს პარლამენტი 2004 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს

თამარ ხორბალაძე

ბოლო დღეებში დადასტურდა, რომ ბიუჯეტის პროექტი ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკური დაპირისპირების და, საჭიროების შემთხვევაში, სახელისუფლებო კრიზისის საფუძვლადც შეიძლება გადაიქცეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხარვეზი გასულ წელთან შედარებით ერთი მესამედით არის გაზრდილი, ხოლო მიმდინარე შემოსავლები, სხვადასხვა გზებით, მაგრამ მაინც - შესრულებულია. თუმცა, ამჯერად 2004 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მხოლოდ ერთი ათკაციანი ფრაქციის შესაძლო შექმნის შესახებ საუბრებს ეყო საბაზად - დღევანდელი მთავრობის არსებობის, ფერადობის არცთუ ბოლომდე წარუშლელი რამდენიმე თვიანი მმართველობა, აჭარული გამარჯვება და, რაც მთავარია, საქართველოს პრეზიდენტის მკვეთრი პოზიცია ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკმარისი არგუმენტი გახლავთ საიმისოდ, რომ დღეს საქართველოს პარლამენტმა იგი საბოლოო მოსმენით დაამტკიცოს.

ბაზრძილა A4 ბავრძილა

### გამომავლები ქადროვის მკვლელობის თავზე

ჩეჩნეთის პრეზიდენტის აჰმად კადროვის მკვლელობის შესახებ მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვა ვერსიები გაისმის. "24 საათის" საქ. კორ. რუსუდან ნიკურაძე მოსკოველ პოლიტოლოგს რუსტამ კალიევს გაესაუბრა, რომელიც რუსი სენატორის მაიორეკ უმაროვის თანამშენებელია.

"ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, როგორ განვითარდება ჩეჩნეთში სიტუაცია. მაგრამ დღეს უკვე ცხადია ერთი რამ: ჩეჩენი ჩინოვნიკების პანიკა უკვე მინიმუმირებულია და ამას პუტინმა მიაღწია ჩეჩნეთის პრემიერის - აბრამოვის უფლებამოსილებათა დადასტურებით და აჰმად კადროვის შევითან - რამხანთან ასევე ოპერატიული შეხვედრით. იგი გროზოდან სასწრაფოდ გამოაფრინეს, სპორტული ტანსაცმლის გამოცვლაც ვერ მოასწრო. რამხან კადროვისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა ასევე ოპერატიულად აჩვენა რუსეთის ყველა ფედერალურმა არხმა.

ბაზრძილა A5 ბავრძილა

### შეინერება თუ არა ხაჩიშვილის საქმის რუსთავის პროკურორი

მაია მოსიაშვილი

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას თემურ ხაჩიშვილის გათავისუფლების თაობაზე რუსთავის პროკურატურასა და პოლიციის საგამოძიებო განყოფილებაში, საგარეოდ, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოჰყვება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ხაჩიშვილის საქმეს რამდენიმე მაღალჩინოსანის საგარეო შეეწირება; კერძოდ, საუბარია რუსთავის პროკურორის - თამაზ კოლუას, მისი მოადგილის - ნუგზარ ტაბაღუას, რუსთავის საგამოძიებო განყოფილების უფროსის და ასევე რიგითი გამომძიებლის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე. "თემურ ხაჩიშვილი გაათავისუფლეს იმ პროცესუალური დარღვევების გამო, რომლებიც, სამწუხაროდ, რუსთავის პროკურატურის გარეშე არ მოხმდარა.

ბაზრძილა A7 ბავრძილა

## წალკაში შინაგანი ჯარის დამატებითი კალაში შეიყვანეს

ქვემო ქართლის გუბერნატორი ექიმების თანხლებით წალკისკენ გუმინ დილთი გაემგზავრა. წასვლის წინ მან კომენდტარი გააკეთა წალკაში წინა დღეს განვითარებულ მოვლენებზე.

„იქ უკვე დიდი ხანია არსებობს შინაგანი დამახლეობა სიამებება და აჭარლებს შორის, ეს გამონეუელი იყო მინის არასწორი გადანაწილებით და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემებით. გუმინდელი ჩხუბი, ფაქტობრივად, უსაფუძვლოდ დაიწყო. მოხდა გაუგებრობა, სომეხი და აჭარელი ბავშვები ფეხბურთის თამაშობდნენ. მატჩის შემდეგ ოთხი ბავშვი თვალს მიეფარა. სომეხი ეროვნების მოსახლეობამ იფიქრა, არჩეს, აჭარლებმა ბავშვები გაგვტაცვეს და დაიწყო ჩხუბი, რომლის გაკონტროლებაც შემდეგ შეუძლებელი გახდა. არიან სერიოზულად დამავნებლები, რომლებიც საავადმყოფოში გადაყვანას და მკურნალებას საჭიროებენ;“ - განუცხადა გუბერნატორმა “24 საათს“.

ამ დრომდე არ არსებობს შეტაკებების დროს დაზარალებულთა ზუსტი ცფერი. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ გაციონლებით მეტი აჭარელია ნაცემი, ვიდრე სომეხი. როგორც ამბობენ, წალკის რაიონულ ცენტრში დაწვეული ჩხუბი შემდეგ სოფლებში გაგრძელდა. პოლიციის ინფორმაციით, სომეხი მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, საკუთარ სოფელში მისვლამდე, აჭარლების სოფლებში “შეიარეს“ და ცემა-ტყევა ატყვეს.

გუმინ მთელი დღის მანძილზე სამასამდე ჩასახლებული აჭარელი წალკის გამგეობის წინ იყო შეკრიბილი და ხელისუფლებისაგან მშვიდობის გარანტიებას და სომეხი მოსახლეობის განიარაღებას ითხოვდნენ.

წალკის სომხურ სოფლებში სერიოზული შეიარაღების არსებობის შესახებ ინფორმაციას ქვემო ქართლის გუბერნატორიც ფლობს, თუმცა აცხადებს, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტები ჯერჯერობით არ არსებობს.

გუმინს საღამოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შინაგანი ჯარის 150-კაციანი დამატებითი რაზმის წალკაში ჩაყვანის თაობაზე. რაიონის ცენტრსა და სოფლებში პატრულებიბენ პოლიციის სპეციალური მობილური ჯგუფები. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელია დაიწყოთ იარაღის ამოღების სპეცოპერაციაც.

ქვემო ქართლის გუბერნატორი, თანხმლბე პირებთან ერთად, ღამით წალკაში დარჩა. როგორც მას “24 საათს“ განუცხადა, მანამდე არ აპირებეს წალკიდან წამოსვლას, სანამ კონფლიქტის მიზეზები არ აღმოფხვრება. “სიტუაციას ამძიებებს ისიც, რომ სომეხთა შრდად არიან პირები, რომლებიც ნაძქე-ზებლების როლს ასრულებენ. დარწმუნებული ვარ, რომ აქ გარე ძალებიც მუშაობენ;“ - განაცხადა გუბერნატორმა მაზნმშივლიმა.

*მაია მოსიაშვილი*

## რუსთავის მერის მიღებაჟა კაცვა თვითმკვლავობა სცადა

სოხუმიდან ლტოლვილმა, 50 წლის რეზო ალასანიამ გუმინ რუსთავის მერის ორმაზათის ტრადიციულ მიღებაზე თავის მოკვლა სცადა. ალასანია, რომელიც 11 წლის მანძილზე ლტოლვილის სტატუსით სენაკში ცხოვრობდა, რუსთავში რამდენიმე კვირის წინ ჩამოვიდა. ის არც ქალაქის ლტოლვილთა და განსახლების განყოფილებაში იყო აღრიცხვებზე.

ალასანიამ მიუღბის დაწყებამდე ქალაქის მერთან მერაბ ტყემლაშვილთან დალაპარაკება მოახერხა, რომელსაც შეეცვლიდა ალასანია და მის ურგიად, ანუ წინასწარი ჩანჩრის გარეშე, მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეს “სისულმი“ ტყემლაშვილს კინაღამ ძვირად დაუჯდა - როგორც ამბობენ, ოთახში შესულმა ალასანიამ მერს საცხოვრებელი ბინა სთხოვა. მისთვის არადამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად ჯიბიდან რუსთაის და მუცელში ჩაირტყა.

დაჭრილი ლტოლვილი რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ექიმები აცხადებენ, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა.

ამ უსიამოვნო ინციდენტს რუსთავის მერიამი დიდი დაბნეულობა მოჰყვა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ადამიანი, რომელმაც კინაღამ მათ გულში დაუხეობა, რუსთაველი არ აღმოჩნდა და, წესით და კანონით, რუსთავის მერს მისი მიღება არც ეკლებოდა.

*მაია მოსიაშვილი*

## საკადასახადოს უფროსი დააკავეს

*10 მაისს გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი თამაზ ლომსაძე სამართალდამცავებმა საკუთარ კაბინეტში დააკავეს – მას ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით თანხის დაბლოკვა ედება.*

მისი დაკავება ერთ-ერთი რგოლია იმ ფაქტისა, რომელიც გორის ცენტრალური ბაზრის ნიკოლოზის ჯგუფმა ნიკოლაურის დაკავებით დაიწყო. ჯგუმალ ნიკოლაური წელს, 23 იანვერწელს დააკავეს. როგორც მაშინ გორის რაიონული პროკურორი რომან გვირგვინი აცხადებდა, ნიკოლაურს საგადასახადო სამსახურის შემოწმების შედეგად ბიუჯეტისთვის დაახლოებით 140 ათასი ლარის დამალვა ედებოდა ბრალად, თუმცა თავად ბრალდებულმა ამ ფაქტს უარყოფდა. იგი ამჟამადაც დაკავებულია და მიმდინარეობს გამოძიება. ჯგუმალ ნიკოლაურს ადვოკატი ელნაზ პავლიაშვილი ჯერ კიდევ მაშინ აცხადებდა, რომ საგადასახადო ინსპექციამ მოახინა 2002-2003 წლებში თავისივე ფაფგნელი საგადასახადო აქტების რევიზია და აღმოაჩინეს კანონდარღვევები. **“ძიებამ საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება, რომ ვითომდა ვადასახადების თავის არიდება მოხდა საგადასახადო ინსპექციის აქტების საფუძველზე. საგამოძიებო ორგანოები არ ჩქარობდნენ საქმის აღქრას საგადასახადო ორგანოების მიმართ;“** - აცხადებდა ადვოკატი ჯერ კიდევ ორი თვის უკან. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია მთლად უსურრადღებოდ არავის დაუტრეყებია და სამართალდამცევებმა საგადასახადო სამსახურის უფროსსაც სამუშაო კაბინეტში მიაკითხეს.

საგადასახადოს თანამშრომლების თქმით, ჩხრეკა კანონის დაცვით, მიმდინარის თანდასწრებით, ბოლო დროს ერთდვარ სანახაობად ქცეული “ნიღბოსნების შოუს“ გარეშე ჩატარდა. თავად ლომსაძეს დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია. როგორც გორის რაიონულმა პროკურორმა აკაკი ტრაპაშვილმა “24 საათს“ განუცხადა, გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი თამაზ ლომსაძე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს, როგორც ეჭვმიტანილი ჯგუმალ ნიკოლაურს საქმეზე დაკავშირებით: **“საქმე ხვება დიდი ოდენობით თანხის, ასეულ ათასობით ლარის დამალვას, რასაც ლომსაძემ შეუწყო ხელი. ამგვარი ქმედებები კი არაერთხელ არის ჩადენილი, არა მარტო ნიკოლაურთან დაკავშირებით. ამის გამოძიება მიდის. ლომსაძეს ამჟამად ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 332 მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის ბრძოტად გამოყენებულ, რაც ითვალისწინებს სასჯელის 3-დან 8 წლამდე. იგი ამჟამად დროებითი დაკავების იზოლაციურშია გადაყვნილი.“**

როგორც არაოფიციალურ შეტყვევით, პროკურატურას ინფორმაცია თავად საგადასახადო სამსახურის თანამშრომელმა მიწადა, თუმცა დამნაშავე რომ საგადასახადო სამსახურში უნდა იქნებოდა, ამას ნიკოლაურს დაკავებისთანავე აცხადებდა მისი ადვოკატიც.

*ესთლ გულეური*

## როლოქაჟა ბარიერები აღარ იქნება

ჩოლოქის დროებითი ხიდის ამოქმედება ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუმინ აჭარის მოსახლეობას პირადად მოულოცა. თავის ნიკოვსელში პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამირჩიდან ჩოლოქამ აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის არანაირი გამყოფი ხაზი და ხელეწუნურად შექმნილი ბარიერები აღარ იარსებებს.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ აჭარაში ინფრასტრუქტურის განახლებაც იცემაება. კერძოდ, უახლოეს ხანებში ქიზობლეთში დაიწყება ახალი გზების მშენებლობა, სექტემბერში კი ჩოლოქიდან აფორამდე გზის საფარი მთლიანად შეიკვებება. პრეზიდენტის ინფორმაციით, აჭარის მოსახლეობის ძირითად ნაწილში უკანონოდ დარიგებული იარაღი უკვე ამოღებულია. მიხეილ სააკაშვილმა ენაიკვირანია ვადა გამოყო იმისათვის, რომ მოსახლეობის განარაღება საბოლოოდ დასრულდეს.

*ინტერ-პრესი*

## ბაღლთა ბაბოთაგან სიძართლეა დაღადახს

ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი აშშ საერ-თაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) და მერილენდის უნივერსიტეტთან არსებული **IRIS CENTER**-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს “წინაარები და შთაბრძნავლები ბავშვთა უფლებების სადარაჯოზე“. თავის ოფისში კავშირმა პროექტის ჩარჩოებში ღონისძიებათა მორიგე ციკლი ჩაატარა და თანაც შეტად ორიგინალურად. თითქმის მთელი დღის მანძილზე კავშირში მონწვეული საშუალება პკონდათ დასწრებოდნენ აქ არსებული საკვირაო სკოლის ლიტერატურის ფილოსოფიის წრის მიერ მოწყობილ ნიდან დუმბადის “ქრისტო აღექსანდრიდისის ლიტერატურულ გასამართლებას“ და ენახათ საკვირაო სკოლის კონრდუკუმენტაცილტ-თა მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები, ასევე გაცნობოდნენ ოზურგეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთა ნახატების გამოფენას თემაზე “შე ვიცავე ჩემს უფლებას“. მოკლედ, მოსახლეობმა ამ დღეს ვახშული სიტყვის, ფერწერისა და კინის ენაზე წარმოუღებინა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ცალკეული პრობლემები მონეეულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ქალაქის, რაიონის, მხარის ხელისუფლების წარმომადგენლები. ძნელი უთქმელია, ესიამოვნათ თუ არა მათ, რაც შედგავთა კავშირში ნახეს და მოისმინეს, მაგრამ ეს კი აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ბევრ რაიმეს კარნახობენ უფროსებს, მათი ბავენი სიმაძროლეს დაღადებენ.

*თამაზ ხარაიჭელი, ოზურგეთიდან*

## შს მინისტრის ბაფრობილბაც

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის თქმით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თავდაცვის სამინისტროს ბათუმის ოცდადებუთ მოტოციკლით მოტოციკლი ბრკივად და შს-ს შინაგანი ჯარების ნაწილები შენარჩუნდება. მინისტრის განმარტებით, ორივე დანაყოფი, ძირითადად, ადგილობრივი და ქვეყნის ერთგული კონტინგენტი დაკომლევტდება და ექნებათ საკამარის ძალები სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

გიორგი ბარამიძე მოუწოდებს რეგიონის მოსახლეობას, ჩაახაზონ მათთვის ასლან აბაშიძის ხელისუფლების მიერ დარიგებული იარაღი, რადგან, როგორც მინისტრი აცხადებს, არავის უნდა შეუძლებდეს იმის ხელისა, რომ ამ იარაღს სახელმწიფო ინტერესებისა და ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებს. შს მინისტრი კატეგორიულად აფრთხილებს ყველას, რომ არავის ეცადოს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სახლებში შეჭრას და მათი ქონების მისაკუთრებას. “თუ ვინმეს უკანონო კონება აქვს მითვისებული, მის ამოღებას სახელმწიფო განახორციელებს, ყველა სხვა შემთხვევა კი შეფასდება მარადიორბადა და არ ექნება ვითავლისწინებული არანაირი პოლიტიკური მოტივები“, - აცხადებს ბარამიძე.

*პრაიმ-ნოუსი*

## პოლიცია აჩიენი ლტოლვილები და ქისტების დავნას პარყოფს

კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ზურაბ ტუმური კატეგორიულად უარყოფს არასამთავრობო ორგანიზაციათა პრეტენზიებს, თითქმის პანკსის ხეობის ქისტთა მოსახლეობისა და იქ მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ პოლიციის თანამშრომლები უკანონო ქმედებებს ახორციელებენ.

(ცნობილია, რომ ანალოგიურ ბრალდებებს გამოთქვამს თავად მოსახლეობაც და მისი რამდენიმე წარმომადგენელი პროტესტის წინაშე შიმშილობს კიდევ.

ტუმური ირწმუნება, რომ არასამთავრობოთა და თავად მოსახლეობის პრეტენზიები გაუგებარია, რადგან თუ ასეთი ფაქტები მართლაც არსებობს, მათ შეეძლით შიმშილობის დაწყებად მიემართათ რომელიც სამართალდამცემა სტრუქტურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლისათვის. მხოლოდ ექვს თვეში პანკსის ხეობაში ექვსი ძმბილია დაკეე-ბული, ბოლო ორი კვირაში კი ავტომანქნების დაფანჯრების ორი ფაქტი დაფიქსირდა. ხეობაში პოლიციის შესვლისა და ჩხრეკის გარეშე კი მსგავსი ოპერაციების ჩატარება შეუძლებელია“, - აცხადებთ კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

იგი არ უარყოფს ხეობაში მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას, თუმცა მიუთითებს, რომ პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და, ამიტომ მოსახლეობისა და არასამთავრობოთა პრეტენზიები სრულიად გაუმართლებელია.

*მედიანოუსი*

### ორი სიხჰვითი

**ბათუმი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს უფროსის მოვალეობას დღეიდან ფრიდონ თურმანიძე შეასრულებს, რომელიც დღემდე სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მუშაობდა.
**ინტერ-პრესი**

**ბათუმი.** აჭარის დროებითი მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ახლადდანიშნულმა რწმუნებულმა აჭარბი ლევან ვარშალომიძემ პირველი ბრიფინგი გახართა. ვარშალომიძე აცნობა ურნალისტების, რომ აჭარაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დღედ 20 ივნისი განისაზღვრა.
**ინტერ-პრესი**

**ფოთი.** ფოთის მერის ვახტანგ ალანიას და ადგილობრივი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, გუმინ ქალაქის მერის ადმინისტრაციულ შენობაში “ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ წარმომადგენლებმა და ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა მიმშლიობის აქცია დაიწყეს. მომშმიღლები ვახტანგ ალანიას ქალაქის მთავრობის კლასური ნიშნით დაკომპლექტებაში დადნაშეუღებენ და აცხადებენ, რომ იგი ექსპრეზიდენტ შევარდნაძის “პიზნესპარტნიორი იყო, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ფოთის მთავრობა გამარჯვებულ პარტიებთან შეთანხმებულად დააკომპლექტა“. რაც შეეხება თავად ფოთის მერს, გავრცელებული ინფორმაციით, იგი ამჟამად თბილისში იმყოფება და სახელმწიფო კანცელარიაში შეხვედრებს მართავს.
**ინტერ-პრესი**

**ფოთი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაური, ასლან აბაშიძის კუთვნილი 8 სწრაფმგავალი საღესანტო კატრალა გუმინ ფოთის სამხედრო პორტში შევიდა. აბაშიძის გადადგომის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის ბრძანებით, აღნიშნული კატარალები ფოთში განლაგებულ საზღვაო თავდაცვის ძალებს გადაეცა. როგორც გუმინ ურნალისტებს საზღვაო თავდაცვის ძალების საკმარისად, აღნიშნულმა ზურამ ირემამემ განუცხადა, აღნიშნული 8 კატარალად ერთი სრულიად ახალია, დანარჩენები კი აბაშიძის მმართველობის დროს მათთვის საზღვაო აკვატორიაში აოხრებულდნენ.
**ინტერ-პრესი**

**თბილისი.** კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის სასწავლებლის კურსდამთავრებულმა გუმინ კოჯორობი, ოუნკერების მე-2019-წლიან ორი ვერტმფრენიდან დესანტორება და მძევლის გაათვისოფლების ოპერაცია განახორციელეს. საჩვენებელი ოპერაცია სპეცდანიშნულების სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მესხეთ გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში გაიმართა, რომელსაც თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელები, თურქეთის ელჩი საქართველოში და კურსდამთავრებულთა ახლობლები დაესწრნენ. საჩვენებელი ოპერაციის შემდეგ, 42 კურსდამთავრებულს სერთიფიკატები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.
**ინტერ-პრესი**

**თბილისი.** აშშ-ს სენატორი მიტჩ მაკკონელი აჭარაში ასლან აბაშიძის ტრეჰმის დასრულებას “საქართველოში დემოკრატიის ხელახალ რეკომუშე“ უნდადებს და ამერიკის მთავრობის სახელით საქართველოს ხელისუფლებას სრულ თანადგობას და მხარდაჭერას უნდადებს. “აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება ქართველი ხალხის, მათი ღირსის პრეზიდენტ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას დიდი გამარჯვებაა. სულსიმამერელია ბათუმის ქუჩებში გამართული ზეიმის ყურება, სადაც საქართველოსა და ამერიკის დროშებს ერთად აფრიალებენ“. ქართველი მებრძოლები ამერიკელების გვერდით მხარსობრებენ. ერთგვებია მაკკონელის განცხადებაში. სენატორი განსაკუთრებით ემაჯიფილია იმ ფაქტით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აჭარაში შექმნილი კრიზისის დარეგულირება შეეძოძიებინა გზით უნდად.
**ინტერ-პრესი**

### ოფიციაოზი

#### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №151

*2004 წლის 7 მაისი ქ. თბილისი*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შტაბშტაბში დასრულდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი სხეს-ლმენიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტის, "წინამატული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და "პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 1 და მე-7 მუხლების შესახამისადა:

1. დათხოვილ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მმართველობის პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის (შემდგომში - რწმუნებული) თანამდებობა.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას დროებითი საპრეზიდენტო საბჭო (შემდგომში - საბჭო) 20 წევრის შემადგენლობით.

4. დამტკიცდეს საბჭოს შემადგენლობა და დებულება თანახმად დანართებისა (დანართი №1 და დანართი №2).

5. საბჭოს წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობადაც ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

6. საბჭოს წევრები საბჭოში მუშაობენ მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის მთელ პერიოდში და უფლებამოსილება უწყდებათ ახლად არჩეული პარლამენტის პირველ შეკრებისთანავე.

7. საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს რწმუნებული, რომელიც იმავდროულად არის საბჭოს წევრი.

8. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტის დროებითი ადმინისტრაცია (შემდგომში - ადმინისტრაცია) და მისი რიცხოვნობა განისაზღვროს 15 საბჭოსეო ერთეულით.

9. ადმინისტრაცია ახორციელებს რწმუნებულის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანების ეფექტურად შესრულების და მისი საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

10. ადმინისტრაციის მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რწმუნებული.

11. რწმუნებული:
ა) უფლებამოსილია ადმინისტრაციას;
ბ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების საქმიანობის საერთო კოორდინაციას;

გ) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები;

დ) ხელს აწერს საბჭოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს, აგრეთვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოიცემს ადმინისტრაციულ აქტებს;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების ფუნქციონირებისათვის საჭირო ვადაწმვეტი-ლებების მიღებას;

ვ) პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს რწმუნებულისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

12. რწმუნებული სხვა საბჭოს წევრების თანამდებობრივ სარგო განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

13. საბჭო მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებების განხორციელებისას სარგებლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ინვენტარით.

14. საბჭოთველოს ფინანსთა სამინისტრომ (წ. ნოღიადელი) უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბჭოსა და ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სახსრების გამოყოფა.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 7 მაისის №151 ბრძანებულებით

**დანართი №1**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს შემადგენლობა.

- ლევან ვარშალომიძე
- კობა ხაბაშა
- იოსებ ხიმშიაშვილი
- თამაზ დიასამიძე
- უოსლან ლომიძე
- ელეჯუჯა მაკარიძე
- თენგიზ ასანიძე
- ევგარდ სურმანიძე
- ნატო იმნაძე
- კახა მიქელაძე
- ოთარ მიქელაძე
- მერაბ ქიშინიძე
- ბუტყა გობაძე
- ჯემალ ინაიშვილი
- მურმან დუმბაძე
- ავთანდილ ბეგანიძე
- ელეჯო ფუტკარაძე
- ზურაბ მიქელაძე
- არბ

# ოპოზიციის ხელისუფლებას საპენსიო პოლიტიკას უნუნებს

პირველი გვერდიდან

ფოტო: ან ვეკლა შელავაძის, მათ შორის - პარლამენტის განყოფილების მდივანის რეგინის მალაქაძის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად," - მოითხოვს ნინო ბურჯანაძე.

სავარაუდოა, რომ ამ საკითხზე თავისი არგუმენტები ექნება მთავრობასაც, როგორც გასული კვირის პარლამენტის სხდომაზე ზურაბ ჟვინია თვის გამოსვლაში აღნიშნა, მთიანი რეგიონების შესახებ კანონის მიღება მისი ინიციატივით მოხდა და მიზნად ისახავდა ისეთი

სოფლების მაცხოვრებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც ბიჭვინთის, ბარისახოს, ომალო და სხვა, მაგრამ შემდგომში, ცალკეული დეპუტატების ლობირების წყალობით, ჩამონათვალში ბევრი ისეთი დასახლებული პუნქტიც შევიდა, რომელსაც მთასთან არაფერი აქვს საერთო. ამან კი გასანევი ხარჯების იმ ზომამდე გაზარდა გამოიწვია, რომ მას მალაქაძის თანაგრძობის ბიუჯეტშიც კი ვერ გასწვდება.

ზურაბ ჟვინია გამოსავალს მალაქაძის სოფლების ჩამონათვლის გადასინჯვაში ხედავს, მაგრამ ფრიალ საეჭვოა, რომ მისი მოსახ-

რეები დღეს დეპუტატების განსჯის საგნად იქცეს.

საპენსიო საკითხზე სერიოზული სკანდალის ატეხვას დეპუტატი კობა დავითაშვილიც აპირებს. მას განზრახული აქვს, სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მთავრობის დადგენილების იმ ნორმის გაუქმება მოითხოვოს, რომელიც პენსიების გაზრდას მხოლოდ იმ პენსიონერებისთვისაც ითვალისწინებს, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს დავლიანება არ გააჩნია.

თუმცა, როგორც ირკვევა, კობა დავითაშვილის მიერ შედგენილი სარჩელზე ხელმოწერა რაოდენობა თანდათან მცირდება: თუ მას

თავდაპირველად 53 დეპუტატი ანერდა ხელს, ამჟამად მათი რაოდენობა 47-მდე შემცირდა. დავითაშვილის მტკიცებით, ექვს დეპუტატზე ზენოლას ჰქონდა ადგილი.

"მეტი საქმე არა მაქვს, დეპუტატებს ვურეკო და დავემუქრო, რადიკალური ხელი მოგინერია და ხელმოწერა უკან გაითხოვეთო," - დავითაშვილის ბრალდება თითქმის გამომწვევად მიაჩნია პარლამენტის ვიცე-სპიკერსა და უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს მიხეილ მაჭავარიანს.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დეპუტატები აჭარბა ჩასატარებელი არჩევნების დეტალებთან დაინტერესდნენ. დეპუტატ ზურაბ

ტყემალაძეს სურს, რაც შეიძლება მალე მიიღოს პასუხი შედეგ კითხვებზე: ერთპალატიანი იქნება აჭარის მომავალი პარლამენტი თუ ორპალატიანი; არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, თუ მაჟორიტარულით; როგორ დაკომპლექტდება საარჩევნო კომისიები...

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, ამ საკითხებზე მთავრობა უკვე მუშაობს, მაგრამ მონახაზი ჯერ მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია და ამიტომ ამ ეტაპზე რაიმე დეტალებზე საუბარი შეუძლებელია.

გუშინ ნინო ბურჯანაძე იმ მწვავე განცხადების შერბილებასაც შე-

ეცადა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროსაბჭოს მიმართ გააკეთა; მით უმეტეს, სპიკერი ღრმად არის დაინტერესებული, რომ სააკაშვილის პრეტენზიებს "ევროსაბჭო რეაგირებს გარეშე არ დატოვებს".

"ევროსაბჭოსთან საქართველოს ყოველთვის თბილი და კეთილი ურთიერთობები ჰქონდა. ნაკლებად კრიტიკულ ვითარებაშიც კი ეს ორგანიზაცია მხარდაჭერას გვიცხადებდა," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც იქვე ისიც შენიშნა, რომ აჭარაში შექმნილი კრიზისული ვითარების დროს ევროსაბჭოსგან მეტ მხარდაჭერასა და თანადგომას

## უთანხმოებები უმრავლესობაში

პირველი გვერდიდან

უმრავლესობასთან შეხვედრისას პრეზიდენტი ამ თემასაც შეეხო. "პრეზიდენტმა თქვა: ვისაც წასვლა უნდა, წავიდეს," - აღნიშნა "24 საათთან" საუბარში ერთ-ერთმა დეპუტატმა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ამ თემაზე საუბრისას სააკაშვილი საკმაოდ გაღიზიანებული იყო. აჭარული რეჟოლუციის შემდეგ გამარჯვებული სააკაშვილი საკუთ-

არ გუნდში ოპოზიციური კერის აღმორჩენას ყველაზე ნაკლებად ელოდა. ახალ ფრაქციამ გადასვლის მსურველთა შორის, ძირითადად, ყოფილ "ზევიდისტებს" ასახელებენ, რაც პრეზიდენტისთვის ასევე მოულოდნელი იქნებოდა - რადენიმე დღის წინ სააკაშვილმა ეროვნული თანხმობის კუთხით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, ლოთი ქობალაძის პატიმრობიდან გათავისუფლების სახით.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური "24 საათთან"

ან" საუბრისას ახალი ფრაქციის შექმნის შესახებ ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს. "თუ ფრაქციული კუთვნილება ხელს შემიშლის იმაში, რომ შავზე შავი ვიქცეო და თეთრზე - თეთრი, მე ასეთი ფრაქციული კუთვნილება არ მინდა," - აღნიშნა ძიძიგურმა. მისი თქმით, ყველაფერი მთავრობის იმ დადგენილების გასაჩივრებით დაინიშნა, რომელიც პენსიების 3 ლარი იაზრდას უკავშირდება. "ეს დადგენილება არაკონსტიტუციუ-

რია და ჩვენ ეს ხმამალა ვთქვით. სწორედ ამის გამო ატყდა აჟიოტაჟი," - აცხადებს ძიძიგური.

მისი თქმით, იგი უახლოეს მომავალში ფრაქცია "ნაციონალ-დემოკრატებს" დატოვებს. "რაიმე ახალი ფრაქციის შექმნაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა, თუმცა ამ აჟიოტაჟის ფონზე, გამორიცხული არაფერია," - აცხადებს იგი.



ახალი ფრაქციის შესაძლო წევრად ლევან ბერძენიშვილსაც ასახელებენ, თუმცა იგი გუშინ პრეზი-

დენტთან გამართულ შეკრებას ესწრებოდა და აღნიშნული ინფორმაცია უარყო. "მე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ პარლამენტი ცოცხალი ორგანიზაციაა და არ არის გამორიცხული, ძალთა გადანაწილება მომავალში მართლაც მოხდეს," - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

პრეზიდენტისა და უმრავლესობის გუშინდელ შეხვედრასაც საუბარი შეეხო, ასევე, აჭარაში გან-

ვითარებულ მოვლენებს და იმ პერსპექტივებს, რომელიც რეგიონის ახალი ხელისუფლების პირობებში გააჩნია. როგორც გაირკვა, უახლოეს მომავალში აჭარაში და სამეგრელოში გზების საფუძვლიან შეკეთებას გეგმავენ. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, აჭარაში სრულად განხორციელდება ის რეფორმები, რომლებიც დანარჩენ საქართველოში მიმდინარეობს. პირველ ყოვლისა, საუბარია აჭარის რეგიონის ფინანსურ აღორძინებაზე.

# სააბნტო "ექსპრესის" სოციალური ექსპერიმენტი



20 აპრილისთვის ხელისუფლებამ გადადგა საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯი - უარი თქვა უმაღლესი დონის საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარებაზე ქალთა შორის ბათუმში.

ჩატარდა გამოკითხვა თბილისში, რომელმაც მოიცვა პრაქტიკულად თბილისის ყველა უბანი: საბურთალო, ვაკე, ვაკე-სამბაკო, თბილისი, ვაკე-სამბაკო და ა.შ.

დასმული იყო ერთადერთი კითხვა: ემხრობით თუ არა ქალების ქალთა ჩემპიონატის ჩატარებას ბათუმში? სამი სავარაუდო პასუხით - კი, არა, არ ვიცი. უნდა აღინიშნოს, რომ კითხვა უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე საჭადრაკო. და-


დებითი პასუხი პრაქტიკულად ხელისუფლების პოლიტიკური კურსის სანინაღმდეგო პოზიციას ნიშნავდა და ა.შ.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენეს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება მეტად არაპოპულარული იყო. ისინი, ვინც მხარი დაუჭირეს ჩემპიონატის ბათუმში ჩატარებას, ე.ი. დააკვირეს ხელისუფლების სანინაღმდეგო პოზიციას, უმნიშვნელოდ, მხოლოდ 7,5 პროცენტით ნაკლები იყვნენ ხელისუფლების მომხრეებზე, ანუ ვინც ეწინააღმდეგებოდა ჩემპიონატის ბათუმში ჩატარებას.

6 მაისს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის

სააგენტო "ექსპრესმა" შეკითხვით - ემხრობით თუ არა ხელისუფლების პოლიტიკას აჭარასთან მიმართებაში (ხელისუფლების ტაქტიკური ნაბიჯებს შორის იგულისხმებოდა ბათუმში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე უარის თქმა) - მიმართა იგივე რესპონდენტებს. მივიღეთ საოცარი შედეგი: ხელისუფლების მომხრეები 90 პროცენტით აღემატება მოწინააღმდეგეებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ორივე გამოკითხვისას ხელისუფლება განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა ქალთა შორის, აგრეთვე 18 წლამდე და 65 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებში.



## ასლან აბაშიძისაბან პოსტის აღარ დარჩა

პირველი გვერდიდან

მუდმივი შიში, რომელსაც რუსული სამხედრო ბაზის არსებობა წარმოადგენდა აჭარის ტერიტორიაზე, იყო იმის მიზეზი, რომ სამხედრო ორგანიზაცია "მხედრონმა" აჭარაში შესვლა ვერ გაბედა. აჭარის მეთაურის დიპლომატიური ნიჭი აქ არაფერ შუაშია. პირიქით, სწორედ უნიჭო მმართველი შეიძლება მოატყუო, დამტყუო ხალხს ძალიან უყვარხარო. აბაშიძის მოსკოვური ვიზიტები და დედაქალაქიდან მასთან ჩასული მაღალი რანგის სტუმრები ხშირად გამხდარიან მსახიობის საგანი, მაგრამ ყველაზე საინტერესო მისი და მოსკოვის მერის, პატრიხა ლუჟკოვის ურთიერთობა იყო. ლუჟკოვის მრჩეველი, პატრიხა ზატულინი იმ ინსტიტუტის დირექტორია, რომელშიც წლების განმავლობაში იგეგმებოდა, მუშავდებოდა და ძალზე ნარმატივულად ხორციელდებოდა საქართველოს დაშლის გეგმა ავტონომიების ხარჯზე. გახსოვთ ალბათ, აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასთან უშედეგოდ მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ, ყველასათვის

მოულოდნელად შუამავალი ფუნქცია ასლან აბაშიძემ იკისრა. ამ მიზნით იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" წარმომადგენლებს შეხვდა, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეების თანდასწრებით. რაზე საუბრობდნენ დახურულ კარს მიღმა ავტონომიის მეთაურები და რუსები, საქართველოში არაფერ იცის, მათ შორის არც ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომლის ნდობით აღჭურვილ პირსაც აბაშიძე წარმოადგენდა. ერთი კი ცხადია, აღნიშნული მოლაპარაკებებიდან დაბრუნებული ასლან აბაშიძე "შემოქმედებითად" ეკიდებოდა აჭარის კონსტიტუციას და თბილისთან შეთანხმებულ ასლან აბაშიძე უფრო მეტ უფლებებს ანიჭებდა ავტონომიას. ბოლოს ავტონომიის მეთაურის სახელიც ეცოცხლა აბაშიძე უფრო მეტ უფლებებს ანიჭებდა ავტონომიას. ოფიციალური თბილისი აღფრთოვანებული არ იყო ამ სახელებით, მაგრამ დუმდა.

ახალმა პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, შესანიშნავად იცის, რომ გამთლიანების გარეშე საქართვე-

ლო, როგორც სახელმწიფო, არ შედგება. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად კი ერის ნება, ერთიანობა და თანამოაზრეთა გუნდია საჭირო. ასლან აბაშიძის მოწვევებითი სიმშვიდე კი ქვეყნისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. აფხაზეთის დაბრუნების მცდელობას პირველ რიგში აჭარის მეთაური უშლიდა ხელს, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იყო, დახმარებოდა აფხაზ კოლეგას, ზურგში ლახვარი ჩაცვა ცენტრალური ხელისუფლებისთვის და ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში აჭარის ავტონომიის საქართველოდან გასვლის საკითხი დაეყენებინა. არსებულ იდეას რუსეთში საკმაო მხარდამჭერები ჰყავდა, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტისთვის, ელექტრონული მედიის საშუალებით ჯერ ისტერიული ფონი შექმნა, არქა, სააკაშვილი აჭარაში იარაღით შესვლას აპირებსო, შემ-

დეგ კი თითის ქნევითა და მუქარით ევროსად მიიღო დადგენილება, რომელშიც საქართველოს ხელითაინიშნა ავტონომიის და, აჭარისგან თავი შორს დაიჭირე. საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს პარლამენტმა გასაოცარი ერთსულოვნება გამოიჩინეს, რუსეთის დედა საქართველოს შიდა საქმეებზე უზენაესი მხარეის მცდელობაში დაადანაშაულეს და ასლან აბაშიძეს შეიარაღებული ბანდფორმირების განიარაღება მოსთხოვეს, მაგრამ აბაშიძე ალბათ რუსეთის იმედით ომისთვის ემზადებოდა...

როდესაც საქართველოს პრეზიდენტს მიხილ სააკაშვილს დადებითად ახასიათებენ, მის ნაკლებზე მიუთითებენ ხოლმე. კერძოდ, მისი ემოციურობა და იმპულსურობა, ანუ ფეთქებადი ხასიათი აქვს მხოლოდ და მხოლოდ მისი მხარეების მხარეებზე, რომელიც თურქეთის თაობაზე, 74 მცდელობის მიუხედავად, წარმატებულად ვერ განახორციელა. სწორედ ამ ორ პიროვე-

ნებას შორის დაინყოფა ფარული ომი ნებისმიერის გამოსაცდელია. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნები, სახელწოდებით "დიოსკურია 2004" ის სატყუარა აღმოჩნდა, რომელიც ჩიჭყინასავით გადაყვარდა ასლან აბაშიძემ. მას ნერვებმა უმტყუნა და ფატალური შეცდომა დაუშვა. მან საქართველოსთან დამაკავშირებელი სამივე ხიდი ააფეთქა და ამით მსოფლიოს წინაშე "მშვიდობა" მოუვარე და აღმშენებელი" ლიდერი რიგით ტერორისტად გადაიქცა. ამ აქციის შემდეგ მის დახმარებას უკვე რუსეთიც ვეღარ გაბედავდა, ხოლო ზატულინის ინსტიტუტის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მრავალმხრივი ნაშრომები მაკულატურად იქცა. აბაშიძის აჭარიდან გაქცევას, როგორც მალაქაშვილის სამოქალაქო საზოგადოების ნებით განხორციელდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუსეთს ხელდან უკანასკნელი კოზირი გამოეცალა, ხოლო აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამხედრო ბაზამ ფუნქცია დაკარგა. მალე ის ოდესაც

კავკასიაში რუსეთის ბატონობის სიმბოლოდ იქცევა...

რაც შეეხება ამ მოვლენებით შემოთავაზებული აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტულ მთავრობებს, ისინი უნებლიეთ ქართულ საქმეს აკეთებენ, როდესაც მთელი მსოფლიოს გასაგონად გააკვირებენ. "აჭარლები იგივე ქართველები არიან, ჩვენ კი სულ სხვა ერის ხალხი ვართ და ჩვენთან მსგავსი რამ ვერ განხორციელდება." ამით მათ დაამსხვრეს რუსეთის მიერ შეთხზული მითი იმის თაობაზე, რომ საქართველოში აჭარლები, სვანები, კახელები, მეგრელები, მთელი საქართველოს დასახლებული რეგიონები, აჭარელები, გურელები, რაჭველები და ა. შ. ხალხები ცხოვრობენ.

აფხაზეთის დაბრუნება შორეული მომავლის პერსპექტივად უკვე აღარც ჩანს, თუმცა, ეს სულ სხვა საუბრის თემაა. რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტს მიხილ სააკაშვილს, როგორც ჩანს, მას ქემპარტიად შესწევს უნარი, ღირსეულად გაუძღვეს ღირსეულ ერს, რომელსაც უკვე ვეღარავინ შეაშინებს "რუსული სინდრომი".

# დღეს პარლამენტი 2004 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს

## პირველი გადართობა

გუშინ საქართველოს ბიუჯეტის სამი სხვადასხვა თავჯდომარის მსჯელობის მთავარ საგნად იქცა - საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის, შემდეგ მთავრობის, მთავრობის სხდომის შუალედური - პრეზიდენტთან შეკრებილმა საპარლამენტო უმრავლესობამ ბიუჯეტის დამტკიცების აუცილებლობაზე იმსჯელეს.

თუ ბიუჯეტის და უმრავლესობის სხდომის მთავარი დედაზრი იმაზე საუბარი გახლდათ, რომ ბიუჯეტის აუცილებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულ ვადა-

ში, ანუ დღესვე უნდა დამტკიცდეს, მთავრობის სხდომის განხილვის საგანი უფრო დეტალური იყო:

გუშინ საქართველოს მთავრობა სალამოს ხუთი საათიდან ღამემდე (მცირედით შუალედით, როცა პრეზიდენტი უმრავლესობის და მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა) 2004 წლის ბიუჯეტის პროექტს მუხლობრივად დაუყვავა და პარლამენტის რამდენიმე საკმაოდ სერიოზული შენიშვნაზე გაითვალისწინა:

მაგალითად, გადაწყდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საპენსიო დავალიანებების გასასტუმრებლად გათვალისწინებული 37 მლნ. ლარი 52 მლნ. ლარა-

მდე გაიზარდება; თბილისის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება მინისტერი დაზარალებულთა დახმარების თანხები; საგარეო დიპლომატიური წარმომადგენლობებისთვის გათვალისწინებული სახსრებიც; ცხადია, პარლამენტის ყველა შენიშვნის გათვალისწინებას მთავრობა არ აპირებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთებს შორისაა გერეთი ნოღეული სპეცტრანსფერტების გაუქმების თემა, რაც მთავრობამ კორუფციული საფრთხეების აღმოფხვრის მიზართულებით გადადგმულ ნაბიჯად მონათლა.

სამაგიეროდ, უკვე ცნობილია ის,

